17.03.2026

საქართველოს უნივერსიადა - 2026
კალათბურთი
(ვაჟები)

1.მიზნები და ამოცანები

ტურნირის მიზანია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს შორის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, მასობრიობის დანერგვა, სპორტის და კონკრეტულად კალარბურთის პოპულარიზაცია, გამარჯვებაული გუნდებისა და საუკეთესო მოთამაშეების გამოვლენა. საქართველოს სტუდენტური ნაკრებისათვის კანდიდატების შერჩევა.

2. მონაწილეები

ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ - საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების გუნდებს, რომელთა შემადგენლობაში უნდა იყვნენ ამ კონკრეტული სასწავლებლის სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ ბაკალავრიატზე, მაგისტრატურაზე ან დოქტორანტურაზე და რეგისტრირებულნი არიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტუდენტთა ბაზაში.

ჩემპიონატში მონაწილე გუნდს უფლება აქვს დაიმატოს სხვა უმაღლესი სასწავლებლის 3 სტუდენტი. ლიგის გათამაშებაში მონაწილეობა ეკრძალებათ უცხოური ქვეყნების, საქართველოს საკალათბურთო სუპერლიგის და "ა" ლიგის 2025-26 წლების სეზონის მონაწილე გუნდების წევრებს, აგრეთვე 29 წლის და მეტი ასაკის კალათბურთელებს.

განაცხადში შეიძლება მაქსიმუმ 15 კალათბურთელის შეყვანა. შეჯიბრის დაწყებამდე გუნდების ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ განაცხადში შეყვანილი ყველა მოთამაშის პირადობის მოწმობების ასლები და სტუდენტობის დამადასტურებელი ცნობები. ტურნირის განმავლობაში მონაწილეს არ აქვს ორ სხვადასხვა გუნდში თამაშის უფლება.

მონაწილე გუნდები ვალდებულნი არიან იქონიონ ორი განსხვავებული ფერის ფორმა შესაბამისი სასწავლებლის ლოგოთი.

4. ტურნირის ჩატარების დრო და ადგილი

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ლიგის 2026 წლის თამაშები ჩატარდება 20 აპრილიდან - 30 ივნისამდე პერიოდში. მატჩები გაიმართება თბილისში ვარკეთილის მულტიფუნქციურ ცენტრში. განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა მიმდინარე წლის 7 აპრილი. კენჭისყრა გაიმართება მატჩების დაწყებამდე 3 დღით ადრე.

5. ტურნირის რეგლამენტი

16 გუნდი გაიყოფა 8 ჯგუფად. ერთ წრიანი ტურნირის შემდეგ ჯგუფებში საუკეთესო ორ-ორი გუნდი გადავა შემდეგ ეტაპზე (სულ 8 გუნდი) ¼ -ფინალში. გუნდები ¼ -ფინალში დაწყვილდებიან შემდეგნაირად: A1-D2 B2-C1 C2-B1 D1-A2 ტურნირი ჩატარდება ერთმატჩიანი შედეგით, ხოლო ფინალი ორ მოგებამდე.

მოგება 2 ქულა, წაგება 1 ქულა გამოუცხადებლობა 0 ქულა ჯგუფში თანაბარი ქულების შემთხვევაში ადგილები გაირკვევა შემდეგი პრინციპით:
ურთიერთშეხვედრებში მოპოვებული ქულები ურთიერთშეხვედრებში ბურთების უკეთესი სხვაობა ურთიერთშეხვედრებში მეტი ჩაგდებული ბურთი ჯგუფურტურნირში ბურთების უკეთესი სხვაობა ჯგუფურ ტურნირში მეტი ჩაგდებული ბურთი კენჭისყრა

6. სადისციპლინო სასჯელი

განაცხადში არ მყოფი კალათბურთელის თამაშის ან სათანადო საბუთების არ ქონის შემთხვევაში დამრღვევ გუნდს ჩაეთვალება წაგება, განმეორების შემთხვევაში მოიხსნება შეჯიბრიდან. მატჩიდან გაძევებული მოთამაშის დისკვალიფიკაციის

საკითხს განიხილავს საორგანიზაციო კომიტეტი. პროტესტის შეტანა ხდება მატჩის დასრულებიდან 1 საათის განმავლობაში.

გამოუცხადებლობის ან 15 წუთზე მეტი ხნით დაგვიანების შემთხევაში გუნდს ჩაეთვლება წაგება - 0 20. განმეორების შემთხევაში მოიხსნება ტურნირიდან და განიხილება შემდგომ ტურნირებზე მისი არდაშვების საკითხი. თუ მოხსნილ გუნდს ჩატარებული აქვს ჯგუფური ტურნირის თამაშების 50 % და მეტი, ყველა დანარჩენ შეხვედრაში ჩაეთვლება წაგება 0 : 20, თუ 50 %-ზე ნაკლები, მისი მატჩების შედეგები უქმდება.

7. ტურნირის ხარჯები

ყველა ხარჯი დაფინანსებულია საქართველოს სპორტის სამინისტროს მიერ.

აღნიშნული უნივერსიადის ფარგლებში მონაწილეობას მიიღებს 600 მდე სტუდენტი.

8. დაჯილდოება

ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი გუნდები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის თასით, მედლებით და საპრიზო თანხებით.

1. ადგილი- 3000 ლარი,
2. ადგილი - 2000 ლარი;
3. ადგილი - 1000 ლარი;

9.პასუხისმგებელი პირი: მეგი კარანაძე - 557 75 85 27

ვამტკიცებ,
საქართველოს საუნივერსიტეტო
სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი
ნინო გიგინეიშვილი